

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

**ზურაბ ოქროპირიძე**

ნიკო შიუკაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა

XX საუკუნის ქართული ლიტერატურის კონტექსტში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარდგენილი

**დისერტაციის მაცნე**

თბილისი, 2018

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

**ზურაბ ოქროპირიძე**

**ნიკო შიუკაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა  
XX საუკუნის ქართული ლიტერატურის კონტექსტში**

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარდგენილი

**დისერტაციის მაცნე**

**თბილისი, 2018**

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:**

ლუარა სორდია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**ექსპერტები:**

მარინა ტურავა, ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მაია ჯალიაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

**ოფიციალური რეცენზენტები:**

ნინო მინდიაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სოსო სიგუა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2019 წლის 16 იანვარს, 14:00 საათზე, სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #12, VII სართული, საპრეზენტაციო ოთახი.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი,  
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი:

მირანდა თოდუა

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ქართული ფილოლოგიური მეცნიერება წარმატებით იკვლევს გასული საუკუნის ქართულ ლიტერატურას. მიუხედავად ამისა, დღემდე ჯეროვნად არ არის შესწავლილი აღნიშნული ეპოქის (განსაკუთრებით, ასწლეულის I ნახევრის) რიგ ქართველ მწერალ-მოღვაწეთა ცხოვრება და შემოქმედება, მათი მსოფლმხედველობა, მიმართება ეპოქასთან. მივიწყებულთა შორისაა თავისი დროის თვალსაჩინო დრამატურგი, პედაგოგი, თეატრალი და საზოგადო მოღვაწე ნიკო შიუკაშვილი (1870-1938). მწერლის შემოქმედების თემატიკა და პრობლემები 900-იანი წლების ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ტენდენციებისა და მიმართულებების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა. მისი მსოფლმხედველობის წყაროს ქართველ სამოციანელთა–ილიასა და აკაკის ეროვნული იდეოლოგია წარმოადგენდა. სამწერლო მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე (1906-1914) იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მაშინდელ რუსულ-ევროპულ მწერლობაში (მათი გავლენით – ქართულშიც) გავრცელებულ საოჯახო-ყოფით საკითხებს, სიყვარულსა და მოვალეობას. ამავე ხანებში, რეალურად წარმოაჩენდა ახალი საუკუნის პირველ ათწლეულში საქართველოში განვითარებულ შფოთიან მოვლენებს, აღწერდა ძველი და ახალი დროის ქართველთა ბრძოლას ეროვნული და სოციალური თავისუფლების მოსაპოვებლად. დრამატურგის ადრინდელი დრამები, შექმნისა და დადგმისთანავე, ცხოველ ინტერესს იწვევდა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, ისინი წლების მანძილზე იდგმებოდა ქართული თეატრების სცენაზე, მათ შესახებ ქართულ, რუსულ და სომხურენოვან პრესაში იწერებოდა უამრავი რეცენზია, რომელთა უმეტესობა აღნიშნავდა პიესების თემატურ აქტუალობას და მაღალმხატვრულობას.

მეოცე საუკუნის დასაწყისის ქარიშხლიანი პროცესები სულ მალე გრიგალად მოველინა ჩვენს ქვეყანას და ადამიანური ყოფიერებისათვის წარმოუდგენელი ტრაგედიები დაატრიალა. ნიკო შიუკაშვილის თვალწინ მიმდინარეობდა წინააღმდეგობრივი ეპოქალური მოვლენები: რუსეთის 1905-07 და 1917 წლების

რევოლუცია-გადატრიალებები, საქართველოს პირველი რესპუბლიკის შექმნა, ქვეყნის ოკუპაცია, 1924 წლის ქართველთა ამბოხის სისხლში ჩახშობა, 20-30-იანი წლების მასობრივი რეპრესიები... ეროვნული იდეებით ნასაზრდოები შემოქმედი საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში, არ დაიბნა მწერალთა ჯგუფების სიმრავლით და უყოყმანოდ შეუერთდა ქართული სიტყვის ოსტატთა ყველაზე დიდ ეროვნულ გაერთიანებას – „აკადემიურ მწერალთა ასოციაციას“, რომელიც უკეთ გამოხატავდა მწერლის ეროვნულ-მოქალაქეობრივ მრწამსს. დრამატურგი თავდადებით იღვწოდა ქართული მწერლობის, თეატრის წინსვლისა და მომავალი თაობების აღზრდა-განვითარებისთვის. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, დრამატურგის შემოქმედება ფართო სოციალურ-პოლიტიკური მოტივებით დაიტვირთა. აღნიშნულ მოვლენებში, მან იშვიათი პირდაპირობით ამხილა ბოლშევიზმის მახრებელი როლი. ლიტერატურაში კვლევის მეთოდად დამკვიდრებული ე. წ. სოციალისტური რეალიზმის თეორიით მომარჯვებული კრიტიკა, ვულგარული ლიტერატურული კრიტერიუმებით აფასებდა მწერლის მხატვრულ ქმნილებებს. ბოლშევიკური იდეოლოგიის განსაკუთრებული რისხვა დაიმსახურა ალექსანდრე ახმეტელის მიერ 1927-28 წლებში რუსთაველის თეატრში დრამატურგის კომედიების – „ამერიკელი ძიასა“ და „ამერიკელი ძიას გასაბჭოების“ წარმოდგენებმა. ასეთი დამოკიდებულება ავტორის დრამატურგიის მიმართ, XX საუკუნის თითქმის მთელ მანძილზე გაგრძელდა, რამაც მისი სახელი და შემოქმედება გარკვეულწილად დაჩრდილა და ჩვენს დრომდეც ვერ მოექცა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის არეალში. მას ნაკლებად ან სულაც არ იცნობს თანამედროვე მკითხველი და თეატრის მოყვარული საზოგადოება.

დღეს შესაძლებელიცაა და საშურიც, მიუკერძოებლად განვსაჯოთ „ქართველთა უპირველესი დრამატურგის“ (იოსებ გრიშაშვილი) შემოქმედების მხატვრული ღირსება და მნიშვნელობა XX საუკუნის ქართული დრამატული მწერლობისა და თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. ამის გარეშე, ვფიქრობთ, გაჭირდება უახლესი ქართული მწერლობის, არცთუ დიდი წარსულის მქონე

ეროვნული დრამატურგიის ისტორიის სრულყოფილი სურათის აღდგენა, მისი განვითარების ეტაპების თავისებურებათა დადგენა, დრამატურგის როლისა და ადგილის განსაზღვრა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. აღნიშნული, კიდევ ერთხელ მიუთითებს წინამდებარე სადისერტაციო თემის აქტუალობაზე, რომელსაც უფრო ცხადყოფს ავტორის – თვითმხილველის მიერ ჯერაც ბუნდოვანი, 1920-30-იანი წლების ტრაგიკული მოვლენების მხატვრული სიმართლით ასახვა.

საკითხის შესწავლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ქართველ მწერალ-მოდვაწეთა (ნიკო ლორთქიფანიძე, კიტა აბაშიძე, ივანე გომართელი, ალექსანდრე ყოფშიძე, ვალერიან გუნია, გრიგოლ რობაქიძე, შალვა დადიანი, შალვა რადიანი, სერგო გერსამია) შეფასებები დრამატურგის პირველ პიესებზე. 20-იან წლებში სათეატრო კრიტიკოსი, რომან ფიცხელაური, ნიკო შიუკაშვილს კომედიური ჟანრის ყველაზე ძლიერ ქართველ მწერლად მიიჩნევდა, თუმცა იდეოლოგიური კონიუნქტურის გამო, იწუნებდა საბჭოური ყოფის ამსახველი პიესების იდეურ-შინაარსობრივ მხარეს. მწერლის ამავე პერიოდის შემოქმედების ცალკეულ საკითხებზე მსჯელობისას, მეტ-ნაკლებად ობიექტურნი არიან შალვა დადიანი, გრიგოლ კაკიაშვილი, დიმიტრი იოვაშვილი, შალვა მაჭავარიანი, გიორგი ციციშვილი, ბესარიონ ჟღენტაი და სხვები.

ნიკო შიუკაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას არაერთი კვლევა მიუძღვნა პროფ. გიორგი ჯავახიშვილმა. მან დღის სინათლეზე გამოიტანა დრამატურგის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის ამსახველი უცნობი მასალები, წერილები, შრომა – „დიქცია და მხატვრული მეტყველება“, <sup>1</sup> საზოგადოების ყურადღება მიაპყრო შიუკაშვილების ოჯახის დამსახურებას ქართული კულტურის წინაშე. თავიანთ პუბლიკაციებში მწერლის ცხოვრება და სათეატრო-პედაგოგიური ღვაწლი გააშუქეს დავით შულღიაშვილმა, დავით კოჟორიძემ, ილია მაისურამემ, ზაალ ბოტკოველმა.

---

<sup>1</sup> 2010 წელს იგი საინტერესო თანდართული შესავლით გამოაქვეყნა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, ლამარა ღონდაძემ (იხ. „დიქცია“, თბ., 2010, გვ.)

დასახელებული კვლევები, მიუხედავად მათი მნიშვნელობისა, ვერ ქმნიან სათანადო წარმოდგენას ნიკო შიუკაშვილის მრავალფეროვან შემოქმედებაზე. პუბლიკაციების საგრძნობი ნაწილი უფრო მიმოხილვითი, სარეცენზიო სახისაა, ხშირად – მსგავსი შინაარსის. ფრაგმენტულად, მაგრამ შედარებით უკეთ არის წარმოჩენილი მწერლის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის სურათები. მცირე რაოდენობის ანალიტიკური ხასიათის შრომებში ობიექტურადაა განხილული ავტორის 900-იანი წლების პიესები, კომუნისტური ეპოქისა კი – ზერელედ და ტენდენციურად. როგორც ითქვა, იგი შედეგი იყო „სოციალისტური რეალიზმის“ მავნე მეთოდისა, რომელიც დამოკლეს მახვილივით ეკიდა ქართული მწერლობის თავზე და თრგუნავდა მის თავისუფალ ნებას. ავტორის დრამატული ქმნილებების დიდ ნაწილს, რომელთაც ბოლშევიზმს საჯაროდ სრული კრახი უწინასწარმეტყველეს, დღემდე პროლეტკრიტიკოსთა უსამართლო მსჯავრი („უმსგავსო“, „დასაგმობი“, „დასაწვავი“...) და არქივის სქელი მტვერი ადევს. დრამატურგის შემოქმედების დიდმა სიმართლემ და მხატვრულმა ღირებულებამ, იმანაც, რომ იგი ჯერაც არაა შესწავლილი თანამედროვე თვალთახედვით, **გამოიწვია ჩვენი დაინტერესება.**

**წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის სიახლე** ისაა, რომ მასში მრავალრიცხოვან უცნობ საარქივო მასალებთან ერთად, გამოყენებულია ქართულ სალიტერატურო სივრცეში ნიკო შიუკაშვილის დრამატურგიის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არსებული, ჩვენს მიერ ერთად თავმოყრილი კვლევები, მოსაზრებები, ცნობები. აღნიშნულის გაანალიზებისა და შესწავლის საფუძველზე, შევეცადეთ შეგვექმნა პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელშიც თანმიმდევრულად აისახებოდა მწერლის ბიოგრაფია და მრავალმხრივი ღვაწლი, ადრეული და საბჭოური ეპოქების შემოქმედების ხასიათი, თემატიკა, ტენდენციები იმდროინდელ ქართულ და მსოფლიო მწერლობასთან მიმართებაში. კვლევაში, ყურადღებას ვამახვილებთ დრამატურგის როლზე ახალი ქართული კომედიის შექმნაში, რეჟიმისადმი მის მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებაზე.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, კვლევის საგანი ნიკო შიუკაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ლიტერატურული მემკვიდრეობაა, რომლის შესწავლაც XX საუკუნის ქართული ლიტერატურის კონტექსტისა და ქვეყნის იმჟამინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

**ნაშრომის მიზანია:** ნათელყოს დრამატურგის შემოქმედების განვითარების ეტაპები (ასევე, მოკლედ – დრამატურგის არსი და სპეციფიკა, ქართული დრამატურგის ისტორია) და თავისებურებანი იდეის, თემატიკის, ჟანრის, ფორმის, მსოფლმხედველობისა და მხატვრულ-გამომსახველობითი მახასიათებლების მიხედვით; გააცხადოს საბჭოური კრიტიკის ზღვარგადასული დამოკიდებულება მწერლის შემოქმედებისადმი; ამომწურავად გააანალიზოს დრამატურგის ჟანრობრივად მრავალფეროვანი მხატვრული შემოქმედება იმ ეპოქის ქართული მწერლობის ზოგად ტენდენციებთან მიმართებით; წარმოაჩინოს კვლევითი **სიახლეები**, მოსაზრებები, რომლებიც დღემდე არ დაფიქსირებულა ქართულ სალიტერატურო სივრცეში ნიკო შიუკაშვილის შემოქმედებისა და ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

ნაშრომის მიზნიდან გამომდინარეობს **ამოცანა** – წარმოვაჩინოთ და გავაანალიზოთ:

- დრამატურგის სპეციფიკა, ქართული დრამატული მწერლობის ძირითადი მიმართულებები (ზოგადად). ნიკო შიუკაშვილის შემოქმედებითი მეთოდები და მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპები;

- ნიკო შიუკაშვილის ბიოგრაფია, სათეატრო-პედაგოგიური მოღვაწეობა, ნოვატორული მიდგომები (ფსიქოლოგიური დრამა, იმპრესიონისტული მანერები, სიმბოლისტურ-რომანტიკული სურათები) შემოქმედების პირველ ეტაპზე (1906-1914) შექმნილ დრამებში. მათი თემატიკა და თავისებურებანი, ტიპოლოგიური ანალოგიები ქართულ და უცხოურ მწერლობასთან. მრავალჟანრობრივი მხატვრული



შემოქმედება – დრამა, კომედია, საბავშვო პიესები, მცირე პროზისა და პოეზიის ნიმუშები;

- დრამატურგის უცნობი საარქივო მასალები: მხატვრული ტექსტები, მოგონებები, წერილები, სააღრიცხვო ბარათები. მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, შემოქმედების, მისი პიესების დადგმის შესახებ სხვადასხვა ავტორთა მიერ გამოქვეყნებული კვლევები და რეცენზიები;

- ნიკო შიუკაშვილის შემოქმედების საბჭოური პერიოდის (20-30-იანი წლები) თემატიკა და ამ ეპოქის ქართული მწერლობა. მისი პიესების იდეურ-შინაარსობრივი, სიტუაციური და სახე-ხასიათობრივი მსგავსება ქართველ ავტორთა თხზულებებთან, სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, რომელშიც ცხოვრობდა მწერალი და ასახავდა თავის პიესებში.

- ქართული კომედიის ავანგარდული როლი ბოლშევიზმის მხილებაში. ნიკო შიუკაშვილი ახალი ქართული კომედიის შექმნის სათავეებთან. ფოლკლორული სიუჟეტის იდეურ-მხატვრული ფუნქცია დრამატურგის კომედიებში („ბერიკობა“, „ამერიკელი ძია“, „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“).

- მიხეილ ჯავახიშვილის რომანების გმირების (კვაჭი, ჯაყო) შემოქმედებითი გააზრება და მათი შემოყვანის მიზანდასახულება ნიკო შიუკაშვილის დრამატულ თხზულებებში. რეალურისა და ტექსტური სინამდვილის ურთიერთკავშირი მწერლის შემოქმედებაში.

- დრამატურგის პიესების ენობრივ-სტილისტური თავისებურებანი. სიმბოლური და ქვეტექსტური აზროვნება, როგორც იარაღი საბჭოური რეჟიმის (ზოგადად - მანკიერების) მხილებისა;

- ნიკო შიუკაშვილის წერილები ქართული თეატრისა და დრამატურგიის საკითხებზე. მისი ღვაწლი ქართული მწერლობისა და თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. დრამატურგის როლი და ადგილი ეროვნული მწერლობის ისტორიაში;

კვლევის ძირითად წყაროებს წარმოადგენენ სხვადასხვა არქივებში დავანებული ნიკო შიუკაშვილის მხატვრული ტექსტები, მოღვაწეობის ამსახველი მასალები, დოკუმენტები, წერილები, ცალკეულ მკვლევართა გამოკვლევები, XX საუკუნის პერიოდულ პრესაში მის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციები, რეცენზიები. კვლევის პროცესში გამოყენებულია ავტორის დრამატურგიასთან იდეურ-თემატური თუ სხვა მხატვრული ელემენტებით მონათესავე ქართველ და უცხოელ მწერალთა მხატვრული თხზულებები, წყაროები, რომელნიც პირდაპირ ან გარკვეული კუთხით არიან დაკავშირებულნი სადისერტაციო თემატიკასთან.

ნაშრომის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძველია ცნობილ ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის სამეცნიერო შრომები, დებულებები. მათში განხილულია ზოგადად, სიტყვიერი ხელოვნების, მათ შორის, დრამატული მწერლობის ბუნება, ქართული დრამატურგიისა და თეატრის თავისებურებები, რომლებიც უშუალოდ ან ირიბად (თეორიული შეხედულებებით) ეხმიანებიან დრამატურგის შემოქმედებას (ი. ჭავჭავაძე, ვ. აბაშიძე, ივ. გომართელი, შ. დადიანი, დ. ჯანელიძე, გ. ციციშვილი, გრ. კაკიაშვილი, ვ. კიკნაძე, მ. მირესაშვილი, ი. რატიანი, მ. ბახტინი, ა. ლუნაჩარსკი და სხვები). ნაშრომის მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე, ძირითადად გამოყენებულია კვლევის შედარებითი (კომპარატივისტული) და კრიტიკულ-ანალიტიკური მეთოდები. მათი მეშვეობით, წარმოვაჩინეთ დრამატურგის ნაწარმოებების იდეურ-მხატვრული მხარე, ხასიათები, ავტორის ჩანაფიქრი, ასევე მათსა, ქართველ და უცხოელ ავტორთა ტექსტებს შორის, გამოვავლინეთ თანმხვედრი სიუჟეტური ხაზები, მსგავსი ტიპები, საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. ამან იმ მიზეზების ძიებას შეუწყო ხელი, რომელმაც დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, აქტუალური გახადა ესა თუ ის სიუჟეტური მიმართულება და, თავის მხრივ, გარკვეული დასკვნების გაკეთების საფუძველი მოგვცა. ნიკო შიუკაშვილის შემოქმედების ენობრივი და მხატვრული თავისებურებები, წარმოჩენილია პიესების განხილვის ბოლოს.

კვლევაში, როგორც ითქვა, ყველა იმ მასალის გამოყენებას შევეცადეთ, რომელიც დრამატურგის შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ არსებობს. ერთიანი სურათის შესაქმნელად, საჭიროდ ვცანით გაგვეშუქებინა მწერლის ცხოვრების გზა, ოჯახური გარემოცვა. საკვალიფიკაციო ნაშრომში ვრცლადაა განხილული ავტორის გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი (საარქივო) ნაწარმოებები, განსაკუთრებით, კომუნისტური ხანის ქმნილებები. მათმა ტიპოლოგიურმა შედარებამ იმდროინდელ ქართველ მწერალთა თხზულებებთან, შეგვაძლებინა ეპოქის სურათის-ბოლშევიკურ იდეოლოგიასა და ეროვნულ-ჰუმანურ პრინციპებს შორის უმძაფრესი ჭიდილის წარმოჩენა.

დისერტაციის მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებად, გვესახება დრამატურგის ცხოვრება-მოღვაწეობისა და შემოქმედების მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდა, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის კონტექსტში. ნიკო შიუკაშვილის დრამატურგია წარმოდგენილი და გააზრებულია, როგორც ქართული დრამატული მწერლობის განვითარების გარკვეული საფეხური. ავტორი გვესახება ერთ-ერთ მესამირკვლედ ფსიქოლოგიური დრამისა, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლებიან იმპრესიონისტული და სიმბოლისტურ-მოდერნისტული სურათები. ვასაბუთებთ განსხვავებულ, მაგრამ ჩვენის აზრით, მართებულ პოზიციას, რომ 20-იან წლებში შექმნილი პიესებით, დრამატურგი დგას ახალი ქართული კომედიის შექმნის სათავეებთან. ნაშრომში ასახულია სხვა კვლევითი სიახლეებიც, რომლებიც, ძირითადად, უცნობ საარქივო მასალებს ეყრდნობიან.

გამოკვლევა შესაძლებლობას მისცემს შესაბამისი ინტერესის მქონე სუბიექტებს, მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობა გაიაზრონ ქართული დრამატურგიის ისტორიის ჭრილში. იგი განკუთვნილია ფილოლოგებისა და ქართული თეატრის საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოების, სტუდენტი ახალგაზრდობისთვის. ნაშრომი დახმარებას გაუწევს მეოცე საუკუნის ქართულ დრამატურგიაზე (მწერლობაზე) მომუშავე მკვლევრებს. ამგვარი ხასიათის შრომა, ხელს შეუწყობს დღევანდელ და მომდევნო თაობებს მომავლის სწორი

ორიენტირების მოძიებაში, ჩვენში ძალუმად შემოჭრილი ფსევდო-ღირებულებების ნაცვლად, ჭეშმარიტი ეროვნულ-ჰუმანური და სულიერ-ზნეობრივი ფასეულობების ჩამოყალიბებაში.

**ნაშრომის სტრუქტურა.** სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს მონოგრაფიულ გამოკვლევას, პიესების იდეურ-შინაარსობრივი და მხატვრული მხარე, წარმოდგენილია უმთავრესად ქრონოლოგიურ-თემატური პრინციპით. იგი მოიცავს 252 გვერდს. შედგება შესავლის, სამი ძირითადი თავის (**თავი I.** ნიკო შიუკაშვილის ცხოვრების გზა, სათეატრო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა; **თავი II.** ნიკო შიუკაშვილის ადრინდელი დრამატურგია, სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ქმნილებები; **თავი III.** სოციალურ-პოლიტიკური თემატიკა ნიკო შიუკაშვილის 20-30 წლების დრამატურგიაში), ექვსი ქვეთავისა (**II.1.** ოჯახის თემა, სიყვარული და მოვალეობა; **II.2.** ქართველთა თავისუფლებისათვის ბრძოლის სურათები აწმყოსა და წარსულში; **II.3.** საბავშვო პიესები, მცირე პროზისა და პოეზიის ნიმუშები; **III.1.** ქართული სოფელი ნიკო შიუკაშვილის პიესებში; **III.2.** კვაჭის ტიპი ნიკო შიუკაშვილის კომედიებში; **III.3.** კაენის აღზევების ჟამი (30-იანი წლების რეალობა დრამაში – „დირექტორი სურმაძე“) და დასკვნისაგან. **ნაშრომს ერთვის შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურისა და წყაროების სია (258 ერთეული).**

## ნაშრომის ძირითადი შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომის შესავალში, ზოგადად მიმოვიხილეთ დრამატურგიის არსი და თავისებურებები, ქართული დრამატურგიის ისტორია. დრამატული მწერლობის ფონზე, აღვნიშნეთ 1900-1910-ანი წლების ნოვატორული ძვრები ქართულ პროზასა და პოეზიაში, გამოვკვეთეთ განსახილველი პრობლემების აქტუალობა, ჩამოვაყალიბეთ დისერტაციის საგანი, მიზანი და ამოცანები, კვლევის წყაროები, მეთოდოლოგია, განვსაზღვრეთ ნაშრომის სიახლე, მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება, სტრუქტურა.

### I თავი

#### ნიკო შიუკაშვილის ცხოვრების გზა, სათეატრო-პედაგოგიური მოღვაწეობა

აღნიშნული თავის დასაწყისში, წარმოვაჩინეთ შიუკაშვილების დიდი ოჯახის წარსულსა და აწმყოს, მათ ერთგულ მსახურებას უფლისა და სამშობლოსადმი. მასში აღწერილია მწერლის ყრმობისა და სწავლა-განათლების წლები, პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები. ყურადღებას ვამახვილებთ მის თავდაუზოგავ მცდელობაზე, იმხანად ქვეყნის ყველაზე ჩამორჩენილ კუთხეებში – მესხეთსა და საინგილოში, საგანმანათლებლო მოღვაწეობის გზით, შეეტანა ქართველი მოღვაწეების ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები. მაჰმადიანთა ხანგრძლივმა ბატონობამ ეს რეგიონები უკიდურესად დააქვეითა ნივთიერადაც და კულტურულ-საგანმანათლებლო კუთხითაც. ახალგაზრდა პედაგოგმა ფართო სამოღვაწეო ფრონტი გაშალა. როგორც ახალციხე-ახალქალაქის (1894-1908), ისე საინგილოს მხარის (1908-1912) ქართველთა უკეთ გასათვითცნობიერებლად, სკოლის კათედრას თეატრიც შეაშველა – ორივეგან, მისვლისთანავე შექმნა დრამატული წრე, აწყობდა წარმოდგენებს, საღამოებს, თავად იყო რეჟისორიც, მსახიობიც, სცენარისტიც.

აღნიშნული პერიოდი ნაყოფიერი იყო სამწერლობო თვალსაზრისითაც. ახალციხეში დაიწერა და მისი ხელმძღვანელობით დაიდგა კიდევ პირველი პიესები: „გამხმარი ფოთოლი“ (1906) და „მეგობრობა“ (1907), საინგილოში – „სულელი“, „სიმახინჯე“, „მთის ზღაპარი“ (1908), „ციცინათელა“ (1909), „ნაგავი“ (1911), რომლებიც წლების მანძილზე წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრების სცენაზე. ქართული აზრის გიგანტების, ილიასა და აკაკისადმი მისი დამოკიდებულების ნათელსაყოფად, საგანგებოდ ვკერდებით ახალციხისა და ზაქათალის სკოლებში დრამატურგის თაოსნობით ჩატარებულ წმინდა ილია მართლის ხსოვნისა (1907) და „განთიადის“ ავტორის საიუბილეო (1908) საღამოებზე. ღონისძიებების ავტორმა მესხებს და ინგილოებს, ცოცხლად წარმოუდგინა დიდ ქართველთაგან გაჩაღებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელობა, აღნიშნა – მათი სახელების გარეშე „ქართველებს ნება არ გვექნებოდა ამაყად გვეთქვა: „მე ქართველი ვარ..!“ მისი წარმოთქმული სიტყვები იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ მაშინვე დაიბეჭდა ქართულ პრესაში (გაზეთები: „ისარი“, 1907, N249; „დროება“, 1908, N30).

ანალოგიური შინაარსით ხასიათდება ნიკო შიუკაშვილის მოღვაწეობა შიდა ქართლში (1912-1918). მისი მთავარი სამოღვაწეო სარბიელი გორშიც სკოლა და თეატრი იყო. იმავე დროს, ხელმძღვანელობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გორის განყოფილებას. დრამატურგის თანადგომით, ცხინვალშიც დაარსდა ამ საზოგადოების ფილიალი. ასეთი დამაბული მოღვაწეობის დროს შექმნა უმშვენიერესი ისტორიული დრამა – „როსტევან“ (1914), რომელმაც თეატრის მოღვაწეთა მოწონება დაიმსახურა. 1915 წელს, აკაკის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ სიტყვაში, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი დიდ მამულიშვილთა ღვაწლს სამშობლოს წინაშე. მისი თქმით, აკაკი მთაწმინდის წმინდა სავანეში ორ დიდებულ ქართველს – ილიასა და დიმიტრი ყიფიანს შეუერთდა („ახალი ქართლი“, 1915, N30).

აქვე წარმოვაჩინო მწერლის მნიშვნელოვან წვლილს ქართული სათეატრო ხელოვნების განვითარებაში. საარქივო მასალების საფუძველზე ცხადვყოფთ, რომ 10-

იანი წლების ბოლოს, ქართული თეატრის მესვეურნი მის კანდიდატურასაც განიხილავდნენ თეატრის მთავარი რეჟისორის თანამდებობაზე. გარკვეულ ადგილს ვუთმობთ ავტორის კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილების განხილვას (ისინი ქართული ლიტერატურის, თეატრის, ენის აქტუალურ საკითხებს ეხებიან), მათ შორის, კოტე მარჯანიშვილთან გამართულ პოლემიკას, შრომას – „დიქცია და მხატვრული მეტყველება“ (1926), რომელიც დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართულ სახელოვნებო წრეებში (ამას მოწმობს 2010 წელს მისი ხელმეორედ გამოცემა). დასასრულს, აღვნიშნავთ, რომ დრამატურგი მეტად დაფასებული და მიღებული იყო ქართულ სამწერლო ოჯახში (1923 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს წევრად და თავმჯდომარის მოადგილედ), მიმოვიხილავთ მის ხანგრძლივ პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში (1924-1938), სიცოცხლის უკანასკნელ წლებს.

## II თავი

**ნიკო შიუკაშვილის ადრინდელი დრამატურგია,**

**სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ქმნილებები**

წინამდებარე თავი დავყავით სამ ქვეთავად: II.1. ოჯახის თემა, სიყვარული და მოვალეობა; II.2. ქართველთა თავისუფლებისათვის ბრძოლის სურათები აწმყოსა და წარსულში; II.3. საბავშვო პიესები, მცირე პროზისა და პოეზიის ნიმუშები.

## II.1. ოჯახის თემა, სიყვარული და მოვალეობა

ამ თავის პირველი ნაწილის დასაწყისში, განვიხილეთ დრამატურგის შემოქმედებითი პრინციპები, 900-იან წლებში შექმნილი საოჯახო-ყოფითი ხასიათის დრამები. ამ თემას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა იმდროინდელ რუსულ-ევროპულ მწერლობაში. მივიჩნევთ, რომ ხსენებული საკითხის გაშლა ქართულ დრამატურგიაში (მწერლობაში), ამითაც იყო განპირობებული. ქართველმა მწერლებმა (მიხეილ ჯავახიშვილი, შიო არაგვისპირელი, ეკატერინე გაბაშვილი, ტრიფონ რამიშვილი და სხვები) სხვადასხვა მხრიდან გააშუქეს ეს პრობლემა. ნიკო შიუკაშვილის პირველ პიესებში („გამხმარი ფოთოლი“, „მეგობრობა“, „სიმახინჯე“, „მთის ზღაპარი“, „ციცინათელა“) უპირატესად მძაფრი ოჯახური პერიპეტეიები, სიყვარულისა და მოვალეობის ურთიერთჭიდილია ასახული. მან დაინახა, რომ თანამედროვე ადამიანთა მნიშვნელოვან ნაწილში, აშკარად შეიმჩნეოდა ოჯახური ცხოვრების წესისადმი არაჯანსაღი დამოკიდებულება. როგორც აღნიშნულ, ისე შემდგომი პერიოდის პიესებშიც, მოქმედება ინტელიგენციის წრეში ვითარდება, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ: ავტორი ამ სოციალურ ფენას მიიჩნევს ეროვნული ცხოვრების წინამძღოლად, ამავედროულად, დამაბრკოლებლადაც, თუ იგი სისუსტესა და უმოქმედობას გამოავლენს. ნიკო შიუკაშვილის დრამების ინტელიგენტი პერსონაჟები: არჩილი, თამარი („მეგობრობა“), ლეო, მელი („მთის ზღაპარი“), ლევანი, ბაბო („ციცინათელა“) ვერ ერკვევიან ოჯახისა და სიყვარულის საკითხებში. პირველნი ყალბად გაგებული სიყვარულის სახელით ანგრევენ ოჯახებს, მეორენი – გაუმართლებელი ყოყმანის, ვითომ ტრადიციებისადმი მოვალეობის გამო, ვერ უღელდებიან, რაც მათი ტრაგედიის მიზეზი ხდება. ნაშრომში, პიესების დეტალური განხილვის საფუძველზე, წარმოჩენილია, რომ დრამატურგი სიყვარულისა და მოვალეობის მონოლითურ მთლიანობას აღიარებს. იგი ცხადყოფს ერთ-ერთი ფემინისტი პერსონაჟის აზრის სიმცდარეს – თითქოს ოჯახისადმი მოვალეობა ზღუდავს ქალის თავისუფლებას.



სიყვარულისა და მოვალეობის გვერდით, ავტორმა განათლება და მისი პრაქტიკული გამოყენების საკითხიც წამოჭრა. მის გმირებს (სონა, ვასო – „სიმახინჯე“) თავი მოაქვთ უმაღლესი განათლებით, იმავე დროს, სრულ უმწეობას ავლენენ პრაქტიკულ საკითხებში. ერთმანეთი უყვართ, მაგრამ რაღაც თეორიებს გამოდევნებულნი, ვერ ახერხებენ დაქორწინებას. ასეთი, ფორმალური განათლება და დიპლომისადმი უსაგნო სწრაფვა, მწერლისთვის სიმახინჯეა. ამგვარი პოზიციისათვის, კრიტიკოსთა ნაწილმა ავტორი სწავლის უარყოფაში დაადანაშაულა. საკვალიფიკაციო ნაშრომში წარმოვადგენთ დრამატურგის შეხედულებათა სისწორეს. იქვე მივუთითებთ ნიკო შიუკაშვილის მწერლურ ალლოზე, რადგან შემდეგში, დიპლომის „სენით დაავადება“, სერიოზულ პრობლემად ექცა ჩვენს ქვეყანას.

ხსენებული პიესების მოქმედ პირთა უნიათობით სარგებლობენ ხარბი, ამორალური პირები (საბა, დარეჯანი – „სიმახინჯე“, მაქსი – „ციცინათელა“) და მათ თავიანთი გავლენის ქვეშ აქცევენ. ნიკო შიუკაშვილი აკრიტიკებს თავის ინტელექტუალ პერსონაჟებს არადამაჯერებელი ქმედებების გამო, რომელიც ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებთან მარცხის მიზეზი ხდება, თუმცა, როგორც ჰუმანისტი, თანაგრძნობითაც ეკიდება. პიესების იდეიდან გამომდინარე, ეს ადამიანები (მათი სახით, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი), მსხვერპლნი არიან არასწორი აღზრდისა, მოუწყობელი სოციალურ-პოლიტიკური და საგანმანათლებლო სისტემისა, სადაც უზნეობა და ამორალურობა სუფევს. მართლაც, იმჟამინდელ მშობლიურ ენასა და შინაარსს მოკლებულ რუსულ სემინარიებს, ახალგაზრდობაში ნიჭის ჩახშობა უფრო ემარჯვებოდა, ვიდრე განვითარება (რაც მწერალმაც იწვინა თავის თავზე), მეორე მხრივ, როგორც აღინიშნა, პრობლემას ემნიდა დიპლომისადმი მოდური დამოკიდებულებაც, რაც, ასევე, პიროვნების წარუმატებლობის მიზეზი ხდებოდა.

დრამატურგის ადრინდელი თხზულებების გმირები არ მსჯელობენ ფართო მსოფლმხედველობრივ საკითხებზე. მწერალი მათ შეგნებულად წყვეტს

საზოგადოებრივ საქმიანობას. პიესებში ძირითადი კოლიზია აგებულია საოჯახო-ყოფით საკითხებთან დაკავშირებულ მორალურ-ზნეობრივ კატეგორიებზე. იგი წინ სწევს პერსონაჟთა პირად განცდებს, სულიერ-ფსიქოლოგიურ მომენტებს. როგორც ითქვა, ავტორმა ამხილა ახალგაზრდა ინტელიგენტთა უნებისყოფობა, მაგრამ კრიტიკის მახვილი, უმეტესად, რუსული იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართა, რომელიც ფსიქოლოგიურ ასპექტშია გადატანილი. დრამატურგი ხშირად პერსონაჟის ერთი ფრაზისა თუ უსიტყვო, უმნიშვნელო ფიზიკური მოქმედების იქით მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, განწყობილებას, ფიქრსა და ხასიათის რაიმე ნიშანს სწვდება. ეს უნარი მწერლისა – ერთი შეხედვით, უბრალო სიტყვასა და ქცევაში მნიშვნელოვანის დანახვა, მას ფსიქოლოგიური დრამის ერთ-ერთ მესამირკველედ აქცევს (რომლის სათავეებთან დავით კლდიაშვილი დგას). აღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ნიკო შიუკაშვილის 900-იანი წლების დრამატული ქმნილებები („გამხმარი ფოთოლი“, „მეგობრობა“, „სიმახინჯე“, „ციცინათელა“) ფსიქოლოგიური დრამის ნიმუშებია. მათში ავტორი აზრთა და ფიქრთა ღრმა შინაგან მდინარებას რეალისტურ ხაზებში ავითარებს. დრამატურგი სინამდვილეს ზოგჯერ ფრაგმენტულად, ორაზროვნად წარმოაჩენს, რაც რეალიზმისა და იმპრესიონიზმის საინტერესო ნაერთს ქმნის. ზემოჩამოთვლილ დრამებში, ნიკო შიუკაშვილი ნორვეგიელი დრამატურგის, ჰენრიკ იბსენის შესამჩნევ გავლენას განიცდის. ამას მოწმობს არა მხოლოდ ცალკეულ გმირთა (თამარი, ლეო, ლევანი) ხასიათები, არამედ ისიც, რომ იბსენის დრამების („ნორა, ანუ თოჯინების სახლი“, „ხუროთმოძღვარი სოლნესი“, „ტახტის მოცილენი“) მსგავსად, ქართველი მწერლის პიესებშიც გმირთა მარცხის მთავარ მიზეზს, საზოგადოების ზნეობრივ-მორალური მდგომარეობა, პიროვნების უპრინციპობა, არამდგრადი ხასიათი წარმოადგენს. ამავე ქვეთავში, მიმოვიხილავთ პიესების დადგმის ისტორიებს ქვეყნის სხვადასხვა თეატრში, რეცენზენტთა შეფასებებს და სხვა.

## II.2. ქართველთა თავისუფლებისათვის ბრძოლის სურათები აწმყოსა და წარსულში

მეორე თავის მეორე ქვეთავი ეთმობა დრამატურგის პიესები – „სულელის“, „ნაგავის“ და „როსტევანის“ იდეურ-მხატვრულ ანალიზს. ეს ნაწარმოებები, სრულიად განსხვავდებიან აღნიშნული თავის პირველ ნაწილში განხილული დრამებისგან, როგორც იდეურ-შინაარსობრივად, ისე სტილითა და პერსონაჟთა ხასიათების გამოვლენის თვალსაზრისითაც. ავტორმა გააფართოვა თავისი შემოქმედების თემატურ-სიუჟეტური რკალი და მათში წარმოგვიდგინა XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში განვითარებული მძაფრი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები, მოგვაწოდა სურათები ჩვენი ხალხის გმირული წარსულიდან. სადისერტაციო ნაშრომში პიესა „სულელის“ ფართო განხილვის შედეგად აღვნიშნავთ, რომ მასში ასახულ ქართველთა გამოსვლებს, უპირველესად, ეროვნული ხასიათი ჰქონდა. მთავარი გმირი – გიორგი ბარათაშვილი 900-იანი წლების გამოღვიძებული, თავისუფლებისათვის მებრძოლი ინტელიგენციის (განსხვავებით ადრინდელი პიესების გმირებისაგან) სახეა. კვლევაში, საარქივო და იმდროინდელი პრესის მასალებზე დაყრდნობით, წარმოვაჩინეთ დრამატურგის მიერ 1936 წელს პიესა „სულელის“ გადაკეთების ნამდვილ მოტივს. იგი მდგომარეობდა ხელისუფლების პირდაპირ მოთხოვნაში – 900-იანი წლების ეროვნული გამოსვლები გასაღებულიყო კლასობრივ-სოციალურ ბრძოლად ბოლშევიკების ხელმძღვანელობით. ხაზგასმით ცხადვყოფთ პიესის საყოველთაო პოპულარობის მიზეზს (მაღალმხატვრულობა და პატრიოტიული სულისკვეთება), მის წვლილს ქართული დრამატურგიისა და თეატრის წინსვლაში.

რაც შეეხება პიესა „ნაგავს“, იგი ღრმა ეროვნული ტენდენციითაა გამსჭვალული და ინტელიგენციის ოჯახურ ყოფასა და საზოგადოებრივ საქმიანობას ეხება. კვლევაში გაცხადებულია ავტორის პოზიცია, რომელიც ამხელს ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის მიერ ეროვნული ინტერესების უარყოფას. საერთო მანკიერების ფონზე, დასამახსოვრებელ ტიპს ქმნის ავტორი პეტრე გიორგაძის სახით.

იგი ერთად ებრძვის შინაურსა თუ გარეულ მტერს, ქართული მიწის გამყიდველებს, მაგრამ შიშველი პირდაპირობის გამო, მარცხდება. გამოკვლევაში წარმოჩენილია „ნაგავის“ საინტერესო სიუჟეტურ-ხასიათობრივი ანალოგიები ქართული და რუსული დრამატურგის ნიმუშებთან. გარკვეულ ადგილს ვუთმობთ დრამატურგის ერთადერთ ისტორიულ პიესა – „როსტევანს“, ვუთითებთ, რომ მწერალმა კონკრეტული ეპოქის, გარდასული მოვლენებისა და ისტორიული პირების გვერდის ავლით – მხატვრული გამონაგონით, ისე განაზოგადა ჩვენი წარსულის თავისებურებანი, რომ მისი მგზნებარე პატრიოტული პათოსი, გასაგები გახადა თავისუფლების ზღურბლთან მდგომი ქართველი ერისათვის.

### II. 3. საბავშვო პიესები, მცირე პროზისა და პოეზიის ნიმუშები

მესამე ქვეთავში – საბავშვო პიესები, მცირე პროზისა და პოეზიის ნიმუშები – გაანალიზებული გვაქვს ავტორის საბავშვო დრამები: „ჯაშუმი“ (1914) და „ბეკეკა“ (1924), ჩანახატი – „აწ და მარად“, მინიატურები – „დედის სურათი“, „სამი სურათი“ (1914) და ლექსი – „მთვრალი მშვენიებით“ (1924). დასახელებული პიესები მომავალი თაობის ეროვნულ-პატრიოტული და ჰუმანისტური გრძნობებით გამსჭვალვას ემსახურება. ხაზგასმით აღვნიშნავთ მათ მნიშვნელობას მოზარდთა სულიერ-ზნეობრივ ჩამოყალიბებაში. ნაშრომში, ყურადღებას ვამახვილებთ მწერლის ორიგინალური, ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ხასიათის ჩანახატზე. მისი სათაური მიგვანიშნებს, რომ ორი მარადიული ფენომენის – სიკვდილ-სიცოცხლის უწყვეტი ურთიერთმონაცვლეობა, აწ და მარად, იქნება ადამის მოდგმისა და ადამიანური გრძნობების მუდმივობის წყარო. დრამატურგი საინტერესო მინიატურებითაც წარდგა მკითხველის წინაშე. მათში მკაფიოდ გამოჩნდა მწერლის იმპრესიონისტული მანერა. ნაწარმოებში („დედის სურათი“) მშობლისადმი მოწიწება და პატივისცემა, არატიპურ, შემთხვევით სიტუაციაში ვლინდება. ანალოგიურ სტილზეა შექმნილი „სამი სურათი“, რომელსაც ავტორი საკუთარ შვილებს უძღვნის.

ნიკო შიუკაშვილს ზემოაღნიშნული ერთადერთი ლექსი აქვს გამოქვეყნებული. იგი ამ უჩვეულო ამბულაშიც შესანიშნავად გრძნობს თავს. ლექსში სილამაზის იშვიათი ფერებია წარმოდგენილი. აღნიშნული ქვეთავის ბოლოს მითითებულია, რომ დრამატურგის არასასცენო მხატვრულმა ქმნილებებმა, ნათლად გამოავლინა მისი შემოქმედების მრავალფეროვნება და დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება.

**სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში გაანალიზებული მასალის მიხედვით გამოტანილია შემდეგი დასკვნები:**

- ნიკო შიუკაშვილის შემოქმედებაში ორი პერიოდი გამოიყოფა: 1) 1906-1914 წლებში შექმნილი მხატვრული ქმნილებები, რომლებშიც საოჯახო-ყოფითი საკითხები (ძირითადი ნაწილი), 900-იანი წლების საქართველოში მიმდინარე მღელვარე პროცესები და ჩვენი წარსულია ასახული; 2) 20-30-იანი წლების დრამატურგია— ფართო სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებით, ბოლშევიკური საქართველოს მძიმე ყოფის სურათებით დატვირთული. ისინი ერთმანეთისგან იმიჯნებიან როგორც ქრონოლოგიური, ისე იდეურ-თემატური და ჟანრობრივი თვალსაზრისით.

- დრამატურგის ადრეული პერიოდის მხატვრულ თხზულებებში (როგორც ზოგადად, 900-იანი წლების ქართულ მწერლობაში) ოჯახის, სიყვარულისა და მოვალეობის თემის წინ წამოწევა განპირობებული იყო იმდროინდელი უცხოური მწერლობის გავლენითაც, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აღნიშნულ პრობლემებს. ავტორის ამ ტიპის პიესებში საპირისპირო ძალთა კონფლიქტი ემყარება მორალურ-ზნეობრივ კატეგორიებს: ოჯახი უნდა ეყრდნობოდეს ცოლ-ქმრის სულიერ ურთიერთობებს, სიყვარული ბედნიერებაა მაშინ, თუ მას ახლავს მოვალეობის გრძნობა.

- ნიკო შიუკაშვილის ადრინდელ დრამატურგიაში ძირითადად დრამის ჟანრი დომინირებს, რომელშიც ფსიქოლოგიურადაა დასურათხატებული საოჯახო-ყოფითი საკითხები. დრამატურგი ქართული ფსიქოლოგიური დრამის ერთ-ერთი

მესაძირკვლეა. ღრმა ფსიქოლოგიზმთან ერთად, პიესებში აშკარად ჩანს საგანთა და მოვლენათა იმპრესიონისტული ხედვა, სიმბოლისტურ-მოდერნისტული ტენდენციები („მთის ზღაპარი“).

- დრამატურგის შემოქმედების საწყის ეტაპზე სოციალურ-პოლიტიკური მოტივების („სულელი“, „ნაგავი“) გაჩენა საქართველოში განვითარებულმა ქარიშხლიანმა მოვლენებმა გამოიწვია. პიესა – „სულელში“, ჩანს, რომ 1905-07 წლების ქართველთა გამოსვლებს, უმთავრესად, ეროვნული ხასიათი ჰქონდა და მას ინტელიგენცია ხელმძღვანელობდა. 30-იან წლებში, მწერლის მიერ თხზულების მეორე ვარიანტის შექმნა, ხელისუფლების პირდაპირი ზეწოლის შედეგია. გადაკეთებულ პიესაში, ავტორი აიძულეს გამათავისუფლებელი მოძრაობა კლასობრივ-სოციალურ ბრძოლად წარმოეჩინა, რომელსაც, თითქოს, ბოლშევიკები წარმართავდნენ.

- ავტორი ინტელიგენციას განსაკუთრებულ როლს აკისრებს ერის ცხოვრებაში. მის აქტიურ მოქმედებასა თუ უმოქმედობაზეა დამოკიდებული ქვეყნის წინსვლა-განვითარება. იგი კიცხავს ამ სოციალური ფენის ერთ ნაწილს, რომელიც ვერ სძლევს ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს, იმავე დროს, ექომაგება კიდევ, რადგან ფიქრობს, რომ მისი სისუსტე, არასწორი აღზრდით, მოუწყობელი სოციალურ-პოლიტიკური ყოფითაა გამოწვეული. მწერალი სულიერი და ფიზიკური ძალების გაერთიანებისა და ეროვნულ-სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებს ქართველ ინტელიგენციას.

- 1900-1910-იანი წლების საქართველოში განვითარებული პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, გასაგები იყო დრამატურგის ერთადერთი ისტორიული დრამა – „როსტევანის“ სულისკვეთება და პათოსი – ადამიანი, უპირველესად, სამშობლოს ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. პიესაში ასახული მოქმედება – განსაცდელის ჟამს ქართველთა გაერთიანება და მტრის დამარცხება, მოწოდებად აღიქმება ერისადმი – მიზამოს წინაპართა ქმედებებს. ეროვნულ-ჰუმანურ ჭრილშია

გასააზრებელი ავტორის საბავშვო პიესებიც. თავისუფლების მომლოდინე მწერალი მომავალ თაობას ეროვნული ერთიანობის იდეას შთააგონებს.

- ნიკო შიუკაშვილის შემოქმედებაში მცირე ფორმის ნაწარმოებების (ნოველა, მინიატურა, ჩანახატი) გაჩენა, იმდროინდელ ქართულ მწერლობაში ამ ჟანრის პოპულარობაზე მეტყველებს. იმპრესიონისტული სტილით შექმნილ მხატვრულ ტექსტებში, ავტორი წუთიერი შთაბეჭდილებებისა და შემთხვევით, არატიპურ მოვლენებზე დაკვირვებით, წარმოაჩენს ცხოვრებისეულ სინამდვილეს.

### III თავი

#### სოციალურ-პოლიტიკური თემატიკა ნიკო შიუკაშვილის

#### 20-30-იანი წლების დრამატურგიაში

წარმოდგენილ თავში გაერთიანებულია სამი ქვეთავი: **III.1.** ქართული სოფელი ნიკო შიუკაშვილის პიესებში; **III.2.** კვაჭის ტიპი ნიკო შიუკაშვილის კომედიებში; **III.3.** კაენის აღზევების ჟამი (30-იანი წლების რეალობა დრამაში – „დირექტორი სურმაძე“). მასში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განვიხილავთ დრამატურგის სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის საბჭოური ეპოქის ქმნილებებს, რომლებიც, უმთავრესად, საქართველოში ძალადობრივი გზით დამკვიდრებული ბოლშევიკური რეჟიმის მხილებას ემსახურება. მსჯელობისას შევნიშნავთ, რომ კომუნისტურმა ხელისუფლებამ, მკაცრ იდეოლოგიურ წნეხში მოაქცია ლიტერატურა. 1924 წლის საყოველთაო ამბოხის შემდეგ, ზეწოლა თანდათან გაძლიერდა, რაც სხვაგვარად მოაზროვნეთა მასობრივ რეპრესიებში გამოიხატა. არასახარბიელო სიტუაციაში აღმოჩნდნენ მწერლები, რომელთა მსოფლმხედველობა ქართველ სამოციანელთა ეროვნულ მრწამსს ეფუძნებოდა და თავისთავად აპირისპირებდა მოძალადე რეჟიმთან. მათ რიცხვში იყო ნიკო შიუკაშვილი – ქართველ მწერალთა ყველაზე ანტისაბჭოურად განწყობილი გაერთიანების, „აკადემიური ასოციაციის“ წევრი,

რომელმაც 20-იანი წლებიდან ახალი სინამდვილის საჩვენებლად, დრამის გვერდით, აქტიურად გამოიყენა კომედიური ჟანრიც.

### III.1. ქართული სოფელი ნიკო შიუკაშვილის პიესებში

პირველი ქვეთავის დასაწყისში, აღნიშნავთ დრამატურგის დაინტერესებას ქართული სოფლის საკითხებით. ავტორი ამ პრობლემისადმი ყურადღებას იჩენს ჯერ კიდევ ყრმობის ასაკსა („სურათი სოფლის ცხოვრებიდან“, 1887) და ადრინდელ პიესა „ნაგავში“(1911). სოფლის თემა, მისი განსაკუთრებული ინტერესის საგანი ხდება საბჭოური პერიოდის შემოქმედებაში. იგი მასშტაბურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს, სოფლად მიმდინარე რთული და საინტერესო პროცესების ჭრილში განიხილავს, პიესებში წარმოგვიდგენს სხვადასხვა ეპოქის ქართული სოფლის ცხოვრებას. საარქივო მასალების მოშველიებითა და მცირე ისტორიული ექსკურსით, ვადასტურებთ, რომ დრამაში – „მადლობა“ (1926), პირველი ქართული რესპუბლიკის მძიმე ყოფაა ასახული. პიესის კოლიზიამ, მასში საპირისპირო ძალთა განლაგებამ, პერსონაჟთა ხასიათებმა და ძალადობრივმა ქმედებებმა, მათ შორის, ოსთა ყაჩაღობამ ქართულ სოფლებში, გვიბიძგა დასკვნისკენ: ეს იყო ბოლშევიკებისგან პროვოცირებული, გლეხთა ე.წ. აგრარული გამოსვლები, მიმართული ნორჩი ქართული დემოკრატიის წინააღმდეგ. შედარებითი მეთოდის გამოყენებით, წარმოვაჩინთ თხზულების იდეურ-ხასიათობრივ მსგავსებას მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებთან“. „მადლობის“ შეცვლილ ვარიანტს წარმოადგენს პიესა – „ახალი ცხოვრებისაკენ“ (1936). დრამაში მწერლის კრიტიკული პათოსი ნაკლებად იგრძნობა. მასში, ავტორის ნების საწინააღმდეგოდ, პოზიტიურადაა წარმოჩენილი კოლექტივიზაციის პროცესი, რაც ბოლშევიკური იდეოლოგიის ზეწოლის შედეგია.

სოფლის თემაა გაშუქებული მწერლის პიესა „ბერიკობაში“ (I-II-III ვარიანტი). პირველ ვარიანტში (1927), ძველი ქართული სოფლის ყოფაა წარმოდგენილი.



დრამაში ეთნოგრაფიული სიზუსტითაა გაცოცხლებული ბერიკობის რიტუალი, რაშიც დაგვარწმუნა თხზულებაში აღწერილი ხალხური სანახაობის შედარებამ, მუზეუმ-საცავებში დაცულ ფოლკლორულ ტექსტებთან. პიესა დრამის პრინციპებზეა აგებული, სადაც ხშირადაა გამოყენებული კომიკური ელემენტები. სადისერტაციო ნაშრომში ხაზგასმულია, რომ იმდროინდელ ქართულ დრამატურგიასა და თეატრს, ასეთი ხასიათის პიესა არ გააჩნდა. ავტორის ამავე თემაზე დაწერილ სხვა ნაწარმოებებთან შეპირისპირებისას, ნათლად გამოჩნდა: დრამატურგი უპირატესობას ანიჭებს ძველ ქართულ სოფელს, რომელშიც ადამიანები კლასობრივი ბრძოლებისა და სისხლისღვრის ნაცვლად, თანხმიერად ცხოვრობენ. შევნიშნავთ, რომ მიუხედავად მისი მაღალმხატვრულობისა, იგი დღემდე არ დაბეჭდილა და არც სცენაზე დადგმულა. პიესის მეორე (ამავე სახელწოდებით, 1928) და მესამე (სახეცვლილი სათაურით – „საოქტომბრო შეჯიბრი“, 1936) ვარიანტებში, მწერალმა „გაითვალისწინა“ ხელისუფალთა გულისწყრომა და კლასობრივი ბრძოლის სურათები ასახა. მათში ბერიკობის რიტუალი მხოლოდ ფონია, საშუალებაა, მეტი სიმწვავეთ წარმოგვიდგინოს წოდებრივ-კლასობრივი ბრძოლა. კვლევაში აშკარად იკვეთება, როგორ ბოჭავს მწერლის თავისუფლებას ბოლშევიკური იდეოლოგია, აიძულებს, ტენდენციურად წარმოაჩინოს მოვლენები.

### III.2. კვაჭის ტიპი ნიკო შიუკაშვილის კომედიებში

მომდევნო ქვეთავში – კვაჭის ტიპი ნიკო შიუკაშვილის კომედიებში, განვიხილავთ დრამატურგის პიესებს, „ამერიკელ ძიასა“ და „ამერიკელი ძიას გასაბჭოებას“, ამ უკანასკნელის სახეცვლილ ვარიანტ – „დომხალს“ (1928). აღვნიშნავთ მწერლის შესაშურ ნიჭიერებას კომედიურ ჟანრშიც. ავტორმა კოლიზიის გასამძაფრებლად და რეალობის უკეთ წარმოსაჩენად, ფოლკლორულ სიუჟეტში

(მდიდარი მეპატრონისა და მოჯამაგირის ამბავი) შემოიყვანა მიხეილ ჯავახიშვილის რომანის უკვდავი ტიპის, კვაჭის სახელით მოქმედი ახალი დროის თაღლითები, რითაც პიესებს თანამედროვე ჟღერადობა და პიკარესკული ნიშნები შესძინა. ნაწარმოებთა ყოველმხრივმა ანალიზმა, მათი და რომანის კვაჭების ურთიერთშედარებამ დაგვარწმუნა: დრამატურგმა არა უცვლელად, არამედ შემოქმედებითად გამოიყენა დიდი რომანისტი გმირი, შემოგვთავაზა მისი განსხვავებული ვარიაციები. ვუთითებთ, რომ წინამდებარე პიესების შექმნით, ნიკო შიუკაშვილმა სათავე დაუდო ახალი ქართული კომედიის განვითარებას, რომლის არსებით ნიშანს წარმოადგენდა მივიწყებული ხალხური ნიღბების მორგება საბჭოურ რეალობასთან.

კვლევაში აღნიშნულია ახალი იდეოლოგიის უსამართლო დამოკიდებულება კომედიების ავტორისა და დამდგმელი რეჟისორისადმი. ხელისუფლების რისხვის მთავარი მიზეზი, როგორც პროლეტკრიტიკოსთა შეფასებებიდან ჩანს, „კომუნისტური ყოფის ტექტიურ ასპექტში ასახვა“ იყო. ნაშრომში დეტალურადაა გაანალიზებული „ამერიკელი ძიას“ ორივე ნაწილი. შევნიშნავთ, რომ ოფიცოზი კიდევ უფრო მეტი აგრესიით შეხვდა „ამერიკელი ძიას გასაბჭოებას“, რადგან დრამატურგმა წინა პიესის უვიცი და გაქნილი პერსონაჟები – კომბალა, ვაჭარი და კვაჭები – ყველა გააბოლშევიკა. მაყურებელი სცენაზე ხედავდა კომუნიზმის „მშენებელთა“ თაღლითობასა და უწიგნურობას, ლოზუნგების ფონზე უსაგნო ფუსფუსსა და თათბირებს, რაც მათში უზომო სიცილსა და შინაგან პროტესტს იწვევდა. ფართოდ განვიხილავთ კვაჭის თემაზე შექმნილი პიესების – „ივერიუმისა“ (მიხ. ჯავახიშვილი) და „კვაჭის“ (შ. დადიანის ინსცენირება) თავგადასავალს, ვაშუქებთ კომედიაში („ამერიკელი ძიას გასაბჭოება“) ჩართულ 1924 წლის აჯანყების სურათებს, რომელიც ბოლშევიკური ხელისუფლების შფოთის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა. ამბოხთან დაკავშირებული სხვა წყაროების დამოწმებით, ცხადვყოფთ ნაწარმოებში აღწერილი მოვლენების სიზუსტეს, კომუნისტთა სისასტიკეს ქართველი ერის მიმართ, უდანაშაულო ადამიანთა მასობრივ

დახვრეტებს. რეჟიმის მესვეურნი უარყოფენ რა სარწმუნოებას, ცდილობენ, გლეხებს რელიგიად შეასაღონ მარქსისტული მოძღვრება, ღმერთებად კი – მისი ბელადები. კვლევაში, ქართული სოფლის უნუგეშო მდგომარეობა, შეფასებულია, როგორც ლენინური აგრარული პოლიტიკის კრახი. მივიჩნევთ, რომ ავტორი კომედიებში განვითარებულ მანკიერ პროცესებს განზოგადებულად წარმოგვიდგენს – ქვეყანაში ცხოვრების სადავეებს თანდათან ახალი დროის თაღლით-გაიძვერები ეუფლებიან.

ახალი იდეოლოგიის უხამსი კრიტიკის გვერდით, იყო ობიექტური შეფასებებიც. სცენაზე განსახიერებულმა პიესებმა დიდი აღიარება მოიპოვა, რამაც კიდევ უფრო გააღიზიანა ხელისუფლება. კომედიების წარმატებაში გამოვყოფთ გენიალური რეჟისორის, ალექსანდრე ახმეტელის დიდ წვლილს, მსახიობების საშემსრულებლო ოსტატობას. პიესების იდეურ-მხატვრული გაანალიზების პროცესში, შედარებითი და კრიტიკულ-ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით, ნათელს ვფენთ პიესების იდეურ-თემატურ, შინაარსობრივ, სიუჟეტურ, სახე-ხასიათობრივ მსგავსებებს ქართულ და მსოფლიო მწერლობის მხატვრულ ქმნილებებთან. საგანგებოდ ვჩერდებით დრამატურგის მიერ მხატვრული საშუალებების ოსტატურ გამოყენებაზე – დახვეწილ იუმორზე, რომელიც ხშირად გადადის სინამდვილის სატირულ ჩვენებაში. ამ ქვეთავში, მოკლედაა განხილული „ამერიკელი ძიას გასაბჭოების“ მეორე ვარიანტი – „დომხალი“. სათაური მიგვანიშნებს, რომ არეულია მთელი ქვეყანა, უზნეობა მძვინვარებს ბოლშევიკურ საქართველოში.

### III.3. კენის აღზევების ჟამი

#### (30-იანი წლების რეალობა დრამაში – „დირექტორი სურმაძე“)

მესამე ქვეთავში – კენის აღზევების ჟამი, წარმოვაჩინთ დრამატურგის დიდ გაბედულებას – მის მიერ „დიდების ზენიტში“ მყოფი საბჭოური რეჟიმის გამანადგურებელ კრიტიკას. მივუთითებთ, რომ ასეთი მხილების ნიმუშებს, როგორც მწერლის დრამაშია („დირექტორი სურმაძე“, 1936) აღწერილი, იშვიათად შევხვდებით 30-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში. ნაწარმოების ყოველმხრივმა შესწავლამ, ცხადად გვიჩვენა ტოტალიტარული სისტემის არაპროფესიონალიზმი, ლოზუნგურ-პლაკატური ხასიათი, მის მიერ ქართველი ინტელიგენციის დევნა, პიროვნების თავისუფალი ნების, ეროვნულ-ჰუმანური პრინციპების უარყოფა. პიესის მიხედვით, ბოლშევიზმი პიროვნებაში ჰკლავდა სულიერ საწყისს, სანაცვლოდ აღვიძებდა მეფისტოფელურ „სიკეთეს“ – ადამიანს ურწმუნობისა და ამპარტავნების, ძალადობისკენ უბიძგებდა. სოციუმში ნერგავდა კომუნიზმის უტოპიური იდეისადმი რწმენას, რომელიც რეჟიმის სისასტიკეს გამართლებას მოუძებნიდა. შევნიშნავთ, რომ ავტორმა აღნიშნული წლებისთვის დამახასიათებელი მართალი სიუჟეტი, ეპოქისეული საპირისპირო ხასიათების, მისწრაფებების, გრძნობების შეჯახების შედეგად, უმწვავეს დრამატულ კონფლიქტად წარმოგვიდგინა.

ნაშრომში ყურადღებას ვამახვილებთ პიესაში აღწერილი ე.წ. სტახანოვური და სხვა ტიპის სოცმეჯიბრებების, ქართული რეალობისთვის უცხო და საშიში მოვლენის – „მოროზოვშინას“ მიმართ დრამატურგის მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებაზე. პიესაში დასმულ პრობლემათა მავნეობისა და მასშტაბურობის, პერსონაჟთა ტიპურობის ნათელსაყოფად, ფართოდ ვიყენებთ შესაბამისი კვლევის მეთოდებს. თემის, იდეის, ხასიათთა მსგავსებისა თუ განსხვავების დასადგენად, ვავლებთ პარალელებს იმ ეპოქის ქართველ მწერალთა ცალკეულ თხზულებებთან, წარმოვაჩინთ ბოლშევიკური ცხოვრების წესზე ნიკო შიუკაშვილის ღრმა

დაკვირვების შედეგს – ზუსტ შეფასებას რეჟიმისა და საოცარ მწერლურ წინასწარმეტყველებას მისი გარდაუვალი კრახის შესახებ.

მწერლის შემოქმედების ცენტრში – ეხება იგი ყოფით თუ მასშტაბურ ეპოქალურ მოვლენებს – ადამიანი დგას თავისი ტკივილით, სიხარულით, განცდებით. ავტორისთვის იგი ნათელი საწყისის მატარებელია, რომელსაც, მიუხედავად დაშვებული შეცდომებისა, ყოველთვის უნდა ჰქონდეს შანსი მათი გამოსწორებისა. დრამატურგს, ორმოცწლიანი სამწერლო და სათეატრო-პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე, არასოდეს გადაუხვევია ქართველ „თერგდალეულთაგან“ ნაანდერძევი ეროვნულ-ჰუმანური პრინციპებისათვის. მისთვის ვერ იქცა სახელმძღვანელოდ ახალი იდეოლოგიის მიერ მწერლობისთვის თავსმოხვეული „სოციალისტური რეალიზმის“ მეთოდი, პროლეტკრიტიკისა და პარტიულ ლიდერთა მკაცრმა ტონმა, ვერ ჩაკლა შემოქმედის თავისუფალი ნება. ამ უკანასკნელმა – მართალმა სიტყვამ, აქტუალურმა თემატიკამ და იდეურმა სიღრმემ, მხატვრულმა ოსტატობამ, მანკიერი სინამდვილის მხილებამ, დრამატურგის შემოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა. ქართველი მოღვაწეები მწერალს უწოდებდნენ: „ქართველთა პირველ დრამატურგს“ (ი. გრიშაშვილი), მისი კომედიების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებზე მაყურებლის მოზღვაავების გამო – „რეკორდსმენი პიესების“ ავტორს (ს. შანშიაშვილი), „ახალი ქართული კომედიის“ შემქმნელს (ი. იმედაშვილი), 20-იანი წლების „ყველაზე ძლიერ კომედიის მწერალს“ (რ. ფიცხელაური), „ქართული ფსიქოლოგიური დრამის ფუძემდებელს“ (ს.გერსამია) და სხვა. დრამატურგის მხატვრული ქმნილებების ირგვლივ გაჩაღებული ცხარე კამათი, საანკეტო გამოკითხვები, მნიშვნელოვნად განაპირობებდა ქართული დრამატურგიის შემდგომ წინსვლას.

ნიკო შიუკაშვილის იდეური ხედვა და დრამატურგიული ხელოვნება, ტიპების შექმნაში, მათი ხასიათების ჩამოყალიბებაში გამოვლინდა, რომელსაც ავტორი, ძირითადად, მოქმედ პირთა ენობრივი და ურთიერთდახასიათების გზით აღწევს.

ისინი თავიანთი ბუნების, ფსიქოლოგიის, განათლებისა და სხვა ნიშნების მიხედვით მეტყველებენ. მწერალმა კონკრეტულ სახეებში, მხატვრული ფორმით განათავსა ეპოქისეული მოვლენების ძირითადი მიმართულებები, ხასიათი, რაობა, ნიშან-თვისებები, რითაც, თავის გმირებს, ერთობლივად შესძინა ინდივიდუალურიც და ზოგადი ბუნებაც, შეუსაბამა თხზულებებში ასახულ დროსა და რეალობას. დრამატურგის ტექსტები გარკვეული წესით მოწესრიგებული მთლიანობაა, რომლის ელემენტები – სიტყვები თავისი ქვეტექსტებით, ურთიერთკავშირში იმყოფებიან. მშვენიერი ენა, ცოცხალი იუმორი, სხარტი დიალოგი და ბუნებრივი სიუჟეტი, დრამატურგის შემოქმედების დამახასიათებელი ნიშანია. დიალოგით იგი პერსონაჟთა ინდივიდუალურობას, განცდებს, მოქმედებას გამოხატავს, რომელიც თავის მხრივ, გმირთა შინაგან განწყობილებას ამჟღავნებს, ამავე დროს, ავტორისეული ტენდენციის გამოვლენასაც ემსახურება. მხატვრული ჩანაფიქრის გასაცხადებლად, ავტორი აქტიურად იყენებს კონტრასტსა და შედარებას, სიმბოლურ მინიშნებებს, მეტაფორა - ეპითეტებს, ფსიქოლოგიურ პაუზებს...

წარმოდგენილი კვლევა, ვფიქრობთ, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ: **ნიკო შიუკაშვილი ახალი გზებისა და მხატვრული ფორმების მაძიებელი, ორიგინალური აზროვნების დრამატურგია.** როგორც მწერალს, სათეატრო მოღვაწესა და პედაგოგს, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული მწერლობისა და სასცენო ხელოვნების განვითარების, ქართველთა არაერთი თაობის აღზრდის საქმეში. მიგვაჩნია, რომ ავტორის მიერ სანიმუშო ენობრივ სამოსელში მოქცეული, თავისი დროის მხატვრულად გადმოცემული ქართული სინამდვილის – მძაფრი ოჯახური პერიპეტიების, განსაკუთრებით, 20-30-იანი წლების ჯერაც ბოლომდე შეუსწავლელი და ჩვენი ერისთვის ტრაგიკული პროცესების იშვიათი სიმართლით წარმოჩენა, ქმნის საფუძველს, დრამატურგმა ღირსეული ადგილი დაიკავოს ეროვნული მწერლობის ისტორიაში.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში განხილული მხატვრული ტექსტების ანალიზისა და მათ ირგვლივ არსებული ლიტერატურული კრიტიკის გათვალისწინებით, გამოტანილია შემდეგი დასკვნები:

- ბოლშევიკურმა რეჟიმმა, მკაცრ იდეოლოგიურ წნეხში მოაქცია მხატვრული ლიტერატურა, რომელმაც 30-იან წლებში, პიკს მიაღწია. ოფიცოზი პირდაპირ მოითხოვდა შემოქმედთაგან, თავიანთ თხზულებებში არ აესახათ ოპოზიციური განწყობები, მიმზიდველად წარმოეჩინათ ე.წ. დიადი აღმშენებლობა, რომლის ცენტრში მტკიცე ნების ლენინელი – ყველასათვის მისაღები ახალი საბჭოთა ადამიანი უნდა მდგარიყო. მიუხედავად ამისა, ქართველ მწერალთა მნიშვნელოვანი ნაწილი, პირდაპირი თუ ირიბი ფორმით, ახერხებდა სიმართლის თქმას. მათ რიცხვში იყო ნიკო შიუკაშვილი.

- ქართული სოფლის თემა დრამატურგის შემოქმედების ინტერესის საგანია. იგი ჯერ კიდევ მის სადებიუტო მოთხრობაში იჩენს თავს. მწერალი 20-30-იანი წლების პიესებში წარმოაჩენს რა ძველი და ახალი ეპოქების ქართული სოფლის სურათებს, მასში მცხოვრებთა რადიკალურად განსხვავებულ განწყობებს, უპირატესობას პირველს ანიჭებს, რომელშიც კლასობრივი ბრძოლისა და სისხლისღვრის ნაცვლად, სიყვარულსა და სიმშვიდეს დაუსადგურებია.

- 1920-იანი წლების ქართული სოფელი ღრმა კრიზისში აღმოჩნდა. ნივთიერთან ერთად, სულიერად გაღატაკდა გლეხობა. ეს ყოველივე შედეგი იყო ცარისტული რეჟიმის ასწლოვანი ბატონობისა, საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ქართული ენის განდევნისა, ამავედროულად, აგრარული პოლიტიკისადმი ახალი იდეოლოგიის შიშველი და ლოზუნგურ-ბიუროკრატიული მიდგომებისა, იდეოლოგიზირებული, პოლიტგრამოტაზე დაფუძნებული განათლებისა.

- ნიკო შიუკაშვილის შემოქმედების არეალში მოექცა პირველი ქართული რესპუბლიკა. ავტორმა მდიდარი ქვეტექსტებით გვიჩვენა, რომ ქვეყანაში შექმნილი

მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, განუკითხაობა, ბოლშევიკებისაგან პროვოცირებული გლეხობის ერთი ნაწილის ე. წ. აგრარული მოძრაობით, ოსური სეპარატიზმის წაქეზებით იყო გამოწვეული. მწერალი გმობს კომუნისტთა ანტიქართულ ქმედებებს, თუმცა, უკმაყოფილოა სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მოუქნელი მმართველობითაც.

- დრამატურგმა შემოქმედებითად გამოიყენა მიხეილ ჯავახიშვილის რომანების ტიპები (ჯაყო, კვაჭი) და მწერლის მსგავსად, მათი წარმომშობი ეპოქა დახატა, პერსონაჟთა ქმედებები ქვეყანაში მიმდინარე რთული პროცესების ჭრილში განიხილა. ქართულ სოფლებში მოთარეშე ჯაყო, ზუსტად ასახავდა მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოში შექმნილ მძიმე ვითარებას, რომელიც დიდ საფრთხეს უქადდა ქვეყანას. ქართველ მწერალთა გაფრთხილება სათანადოდ ვერ აღიქვა ერმა და თითქმის საუკუნის შემდეგ, ეს მოვლენა ცხინვალის რეგიონიდან ქართველთა გამოდევნით და მისი დაკარგვით დასრულდა.

- ავანტიურული მისწრაფების ადამიანები შესაბამისი ვითარების (სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმები, ომები, საზოგადოების სულიერ-ზნეობრივი დეფიციტი და სხვა) შექმნისთანავე ნებისმიერ დროსა და სივრცეში ჩნდებიან. ასეთი სიტუაცია შეიქმნა ახალი ასწლეულის დასაწყისის რუსეთის იმპერიაში, რამაც ამგვარი პირები გაააქტიურა. ქართულ მწერლობაში, მათი „მოღვაწეობის“ ფილოსოფია და ხასიათი, პირველად მიხეილ ჯავახიშვილმა აქცია განსჯის საგნად და ერთგვარ ლიტერატურულ ნათლიადაც მოევიდინა მათ.

- ბოლშევიკურ საქართველოში შექმნილმა ახალმა სინამდვილემ – ოდიოზური, თვალთმაქცი ფიგურების საპირისპირო ხასიათებმა და მიზნებმა, ქართველ დრამატურგებს, მათ შორის ნიკო შიუკაშვილს, კომედიური ჟანრისკენ უბიძგა. 1920-იანი წლების კომედიებში, მწერალმა, პირველმა ქართველ დრამატურგთაგან, გააცოცხლა მივიწყებული ხალხური ნიღაბი, რითაც ეროვნული ელფერი შესძინა ნაწარმოებებს. საბჭოურ ყოფას მორგებულმა ფოლკლორულმა სახეებმა მძლავრი



ბიძგი მისცა ახალი ქართული კომედიის განვითარებას, რომლის სათავეებთან ნიკო შიუკაშვილი იდგა.

- კვაჭის სახელით მოქმედი და სხვა ტიპის თაღლითების გამოჩენამ, პიკარესკის ნიშნები შესძინა დრამატურგის კომედიებს. პიესების გაიძვერა პერსონაჟები თავიანთი ქმედებებით, რომანის გმირის განსხვავებულ ვარიაციებს წარმოადგენენ. 20-იანი წლების ქართულ დრამატურგიაში (მწერლობაში) მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო შიუკაშვილის, შალვა დადიანის მიერ კვაჭის თემის წინ წამოწევა, ახალი ტიპის გაბოლშევიკებულ მედროვეთა სიმრავლეზე მეტყველებს.

- საწყის ეტაპზე ბოლშევიზმი ფიქრობდა, რომ პიკარესკული ტექსტების სატირას ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ გამოიყენებდა, მაგრამ როდესაც ყალბისმქნელნი ათასგვარი მაქინაციებით ხელმძღვანელ თანამდებობებს მოერგნენ და ამან ასახვა ჰპოვა იმდროინდელი საბჭოეთის, მათ შორის ქართულ მწერლობაში, სატირის ობიექტი ხელისუფლება გახდა. ამიტომ, 20-იანი წლების ბოლოდან, ოფიცოზმა ბრძოლა გამოუცხადა კვაჭის თემაზე შექმნილ კომედიებს.

- ავტორმა საამკარაოზე გამოიტანა სოვეტური რეალობის მანკიერება. სიცილით – „ეზოპეს ენით“ (მ. ბახტინი), მან უღრმესი გულისწყრომა გამოხატა ოფიციალური „სიმართლის“ მიმართ. მასში იგრძნობოდა აღშფოთება და გაკიცხვა უზნეო ადამიანებისა, ვინც მნიშვნელოვნად განაპირობა მახინჯი სისტემის შექმნა. სიცილი აფხიზლებდა საზოგადოებას, არ დაეშვა თაღლითთა აღზევება. იგი მაყურებელში ოპოზიციური აზრის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს.

- ხელისუფლების მამხილებელი კრიტიკა დრამატურგის შემოქმედების დამახასიათებელი ნიშანია. იგი გამოწვეული იყო ბოლშევიზმის მიერ ეროვნული და სულიერ-ზნეობრივი ფასეულობების უარყოფით, 1924 წლის ქართველთა აჯანყების სისხლში ჩახშობით, უდანაშაულო ადამიანთა მასობრივი

დახვრეტებით, რეპრესიებით, ჩინოსან კომუნისტთა უწიგნურობით, უმეცრებით და სხვა.

- ბოლშევიზმი პიროვნებაში ჰკლავდა აბელურ საწყისს, სანაცვლოდ აღვიძებდა მოჩვენებით „სიკეთეს“ – ადამიანებს ურწმუნოებისა და ამპარტავნების, ძალადობისკენ უბიძგებდა, სოციუმში ნერგავდა კომუნიზმის ზღაპრული იდეისადმი რწმენას, რომელიც რეჟიმის სისასტიკეს გამართლებას მოუძებნიდა. ახალი იდეოლოგია შვილს მამის, ოჯახის წინააღმდეგ ამხედრებდა, უარყოფდა ღმერთს, ამავდროულად, საზოგადოებას საკუთარ ბელადებს სთავაზობდა „ღმერთებად“.

- 30-იან წლებში ინტელიგენციის დევნამ არნახული მასშტაბები შეიძინა. დრამატურგი ოდინდელი ადამიანური ყოფიერებისთვის დამახასიათებელ კოლიზიას – ბრძოლას კეთილისა და ბოროტისა, ახალ ვითარებაში ქვეყნის ქართველი ინტელიგენციისა და პროლეტარული იდეოლოგიის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებით ხსნის. ავტორის აზრით, ბოლშევიზმმა თავისუფალი ნება წაართვა პიროვნებას, რის გამოც ისტორიის სამსჯავროზე მოუწევს პასუხისგება.

- ნიკო შიუკაშვილის იდეური ხედვა და დრამატურგიული ოსტატობა ტიპების შექმნაში, მათი ხასიათების ჩამოყალიბებაში გამოვლინდა, რომელსაც, ძირითადად, მოქმედ პირთა ენობრივი და ურთიერთდახასიათების გზით მიაღწია. პერსონაჟები თავიანთი ხასიათის, ფსიქოლოგიის, განათლებისა და სხვა ნიშნების მიხედვით მეტყველებენ. მწერალმა კონკრეტულ სახეებში მხატვრული ფორმით განათავსა ეპოქისეულ მოვლენათა ძირითადი მიმართულებები, ხასიათი, რაობა, ნიშან-თვისებები. ამიტომ ისინი ინდივიდუალურნიც არიან და ზოგადნიც, შეესაბამებიან იმ დროს და ვითარებას, რომელსაც აღწერს დრამატურგი.

- დიალოგს განსაკუთრებული როლი აკისრია დრამატურგის პიესებში. პერსონაჟთა სიტყვიერი კომუნიკაციის გარდა, იგი მათი ინდივიდუალურობის – აზრის, ზნეობრივი ბუნების, გონებრივი დონის, კომიზმის, ტრაგიზმისა თუ სხვა გრძნობებისა და განცდების გამოხატვის საშუალებაა. ამავე დროს, დიალოგური მეტყველება, თხზულების მთავარი საკითხებისადმი ავტორისეული ტენდენციის გამოვლენას ემსახურება.

## დასკვნა

დასკვნაში შევაჯამეთ კვლევის შედეგები. შევეცადეთ ლაკონურად, შესაბამისი თანმიმდევრობით წარმოგვეჩინა სადისერტაციო ნაშრომის ყოველ თავსა და ქვეთავში გაანალიზებული საკითხები: დრამატურგის ცხოვრების გზა და მრავალმხრივი მოღვაწეობა, შემოქმედების ძირითადი ეტაპები, თემატიკა, თავისებურებანი, ტიპოლოგიური ანალოგიები ქართული და უცხოური მწერლობის ნიმუშებთან, ენა, მხატვრული სტილი და ხერხები, დრამატურგიული ნოვაციები, კვლევითი სიახლეები, რაც წარმოადგენდა კიდევ ჩვენი ნაშრომის მიზანსა და ამოცანას.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. „ზნეობრივი პრობლემა ნიკო შიუკაშვილის დრამატურგიაში“ – შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები, 1996, გვ. 50-52.
2. „მწერლის კრიტიკული პათოსი ახალი სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილის წინააღმდეგ“ – შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები, 1997, გვ. 34.
3. „ნიკო შიუკაშვილის პიესა „სულელის“ ორი ვარიანტი“ – ჟურნალი „რიწა“, აფხაზეთის მწერალთა კავშირის ორგანო, 1997, N3-4, გვ.144-150.
4. „ნიკო შიუკაშვილის ორი პიესის შესახებ“ – ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი, 1998, N2-3, გვ. 89-99.

5. „აწ და მარად“ – ნიკო შიუკაშვილის გამოუქვეყნებელი ჩანახატი წინასიტყვაობით, „კალმასობა“, ქართველ მწერალთა და ლიტერატორთა გაზეთი, 1999, N5;

6. „სულელის“ საბჭოური მოთვინიერება“ – ჟურნალი „კრიტიკიუმი“, „ლიტერატურული მივხანის“ პერიოდული დამატება, 2005, N13. გვ. 103-104.

7. „კვაჭის ტიპი XX საუკუნის 20-იანი წლების ქართულ დრამატურგიაში“, – ჟურნალი „კრიტიკიუმი“, 2005, N13. გვ. 105-108.

8. ალექსანდრე კუპრინის „ორმოს“ გამო (ნიკო შიუკაშვილის კრიტიკული წერილის მიხედვით) – ჟურნალი „კრიტიკიუმი“, 2006, N15, გვ. 73-74.

9. „კაენის აღზევების ჟამი“ – „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2006, N11, გვ. 194-199.

10. „ნიკო შიუკაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან“ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2014, გვ. 455-459.

11. „900-ანი წლების ეროვნულ-სოციალური ბრძოლის სურათები პიესაში „სულელი“ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2017, გვ. 487-492.

12. „ქართული სოფელი 1918-21 წლებში“ (ნიკო შიუკაშვილის პიესა - „მადლობის“ მიხედვით) – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია, 2017, გვ.20-25.

13. ნიკო შიუკაშვილის პიესა „სიმახინჯის“ იდეურ-მხატვრული ანალიზი“ (იბეჭდება გორის სახ. სასწ. უნივერსიტეტში 2018 წლის 12 ივნისს ჩატარებულ იაკობ

გოგებაშვილისადმი მიძღვნილ V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებულში).

14. „1924 Georgian Antibolshevikrebellion in the play of playwright Niko Shiukashvili “The sovietization of an American uncle”, *Universe Culture, Quarterly International Peer-reviewed Journal (folklore, linguistics, music, literature, Turcology, mythology)*, #38, p.p. 89-94, ISSN: 1308-6197, 2018, e-version: <http://www.kulturevreni.com>.

15. რეალური და სიმბოლისტურ-მოდერნისტული სურათები ნიკო შიუკაშვილის პიესაში – „მთის ზღაპარი“ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, XI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2018 წელი, 16-17 ნოემბერი, კონფერენციის პროგრამა, გვ. 8 (ნაშრომი იბეჭდება).



LEPL - Sokhumi State University

Faculty of Humanities

*Copyrighted*

**Zurab Okropiridze**

**Niko Shiukashvili's literary heritage  
In the context of the 20th century Georgian literature**

Submitted to be awarded the Academic Degree of doctor of

Philology

**Thesis Proposal**

Tbilisi, 2018



LEPL - Sokhumi State University

Faculty of Humanities

*Copyrighted*

Zurab Okropiridze

**Niko Shiukashvili's literary heritage  
In the context of the 20th century Georgian literature**

Submitted to be awarded the Academic Degree of doctor of  
Philology

**Thesis Proposal**

Tbilisi, 2018

**The dissertation work is carried out at LEPL-Sokhumi State University**

**Faculty of Humanities**

**Supervisor:**

**Luara Sordia**, Doctor of Philological Sciences, professor of LEPL-Sokhumi State University

**Experts:**

**Marina Turava**, Doctor of Philological, Associated professor of LEPL-Sokhumi State University

**Maia Jaliashvili**, Doctor of Philological Sciences, Senior Researcher of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Official Opponents:**

**Nino Mindiashvili** - Doctor of Philological Sciences, Associated professor of LEPL-Sokhumi State University

**Soso Sigua** - Doctor of Philological Sciences, Professor of LEPL-Georgian Technical University

**Defense of the dissertation will be held in January 16, 2019 at 14:00, at LEPL Sokhumi State University, Faculty of Humanities , Philological Dissertation Council .**

**Address: Anna Politkovskaya str. # #12, VII floor, Presentation Hall.**

**Secretary of the Dissertation Council,**

**Academic Doctor of Philological Sciences,**

**Associate Professor of Sokhumi State University:**

**Miranda Todua**

## General Review of the Paper

Georgian Philological Science successfully studies the Georgian literature of last century. Nevertheless, the life and creativity of Georgian writers of the mentioned epoch (especially I half a century), their outlook, relationship with the epoch are not properly studied. Among the forgotten is the prominent playwright, pedagogue, theatre specialist and public figure Niko Shiukashvili (1870-1938). The themes of writer's creativity and problems shaped considering the trends and directions of Georgian and world literature of the 900s. The source of his worldview was National Ideology of Georgians of sixties - Ilia and Akaki. In the early stage of his work (1906-1914) he paid particular attention to family-life issues, love and duty, that were then widespread in Russian-European writings (in their influence - in Georgian). At the same time, he actually showed the tensed events developed in Georgia in the first years of the New Century, described the struggle of Georgians of old and new time to gain national and social freedom. The early dramas of the playwright after the creation and staging immediately caused great interest in Georgian literary criticism, they were performed on the stage of Georgian theater for many years, a lot of reviews were written about them in Georgian, Russian and Armenian press, most of them emphasised the thematic relevance of plays and high artistic.

The stormy processes of the early twentieth century soon appeared in our country and made unimaginable tragedies for human existence. Contradictory epochal events took place in front of Niko Shiukashvili : Revolution – Beachheads of 1905-07 and 1917 of Russia, the establishment of the First Republic of Georgia, the occupation of country, suppression in blood of Georgian rebellion in 1924, mass repressions of 20-30 years ... The creator with the national ideas was not confused with the abundance of writers in the first years of the sovietization of Georgia and without hesitation joined the largest national association - "Academic Writers' Association" of the Georgian word masters, which better expressed the writer's national-citizen belief.

He stood in the epicenter of the above-mentioned processes, diligently worked for the development of Georgian literature, the theater and the upbringing of future generations. After the Sovietization of the playwright's work was loaded with wide social and political motives. In these events he exposed the destructive role of Bolshevism with rarely directness. The critique of the so-called socialist religion established in literature as research method theory evaluated the writer's artistic creations by a vulgar literary criteria. The performances of playwright comedies - "An American Uncle" and "sovietization of an American Uncle" in Rustaveli Theater by Sandro Akhmeteli in 1927-28 deserved special fury of Bolshevik ideology. Such attitude towards the author's dramaturgy continued almost throughout the XX century, causing his name and creativity to be somewhat shadowed. He is less or not at all familiar to modern readers and theater amateur society.

Today it is possible and enviable, impartially judge the artistic dignity and importance of the "First Playwright of Georgian" (Ioseb Grishashvili) in the development of Georgian dramatic writings and theatrical art of XX century. Without this, we think that it will be difficult to restore the perfect picture of the history of national dramaturgy with not having a great past, the latest Georgian literature. Determination of the characteristics of its development stages, determining the role and place of the playwright in the history of Georgian literature. The above mentioned once again points to the actuality of the present dissertation, which is demonstrated by the author with reflection of the artistic truth of the tragic events of the obscure 20-30 years .

In terms of studying the issue, assessments of Georgian writers (Niko Lortkipanidze, Kita Abashidze, Ivane Gomarteli, Aleksandre Kipshidze, Valerian Gunia, Grigol Robakidze, Shalva Dadiani, Shalva Radiani, Sergo Gersamia) on the first plays of the playwright are important. In the 20s, the theatrical critic Roman Pitskhelauri considered Niko Shiukashvili as the strongest Georgian writer in the comedy genre, although due to ideological conjuncture he rejected the idea content side of the plays reflecting Soviet life. Shalva

Dadiani, Grigol Kakiashvili, Dimitri Iovashvili, Shalva Machavariani, Giorgi Tsitsishvili, Besarion Zhghenti and others are more or less objective in discussing individual issues of creativity of the same period.

Professor Giorgi Javakhishvili devoted numerous research to Niko Shiukashvili's life and creativity. He showed us the unknown materials of biography and work of the playwright, the letters, labour - „- Diction and Artistic Speech",<sup>2</sup> deserve of Shiukashvili's family to Georgian culture. Davit Shughliashvili, Davit Kozhoridze, Ilia Maisuradze and Zaal Botkveli covered the writer's life and the theatrical-pedagogic contribution in their publications.

The mentioned studies, regardless their significance, can not create a proper representation of Niko Shiukashvili's varied creativity. The significant part of the publications is more reviewable, often - similar content. Fragmentally, but comparatively better are represented the pictures of writer's biography and work. The author's 900-year plays are reviewed objectively in a small amount of analytical works, and the plays of Communist epoch are reviewed superficially and tendentiously. As it was said, it was the result of the harmful method of "socialist realism", which was hanging like "the Sword of Damocles" over the Georgian literature and suppressed his free will. For this reason Niko Shiukashvili's very notable creativity have been ignored for decades and have not yet come into the field of Georgian Literary Studies. The great part of the author's dramatic creativity, which publicly predicted a complete failure to the Bolshevism, still has unfair conviction of proletarian critics ("Useless", "Damning", "Burning" ...) and thick dust of the archives. The great truth of the creativity of the playwright and the artistic value, also the fact that it has not yet been studied from modern point of view, **has led to our interest.**

---

<sup>2</sup> In 2010, Lamara Ghonghadze, the doctor of art criticism, published it with an interesting attached introduction (see "Diction", Tb., 2010, y.p.)

**The novelty of the present dissertation** is that with many unknown archival materials, in it are used the studies, opinions, references gathered by us about the dramaturgy, life and work of Niko Shiukashvili in the Georgian literary space.

On the basis of analyzing and studying of the mentioned we tried to create the first monograph research, which consistently reflected the writer's biographical and multilateral contribution, the character, theme, trend of the creativity of early and Soviet epochs in relation to the Georgian and world literature of that time. In the study we focus on the role of the playwright in creating a new Georgian comedy, the sharp negative attitude towards the regime.

According to the above mentioned, **the subject of the study** is the life and work of Niko Shiukashvili, a literary heritage, which should be studied considering the context of the XX century Georgian literature and the socio-political situation of country of that time.

**The aim of the paper is:** to demonstrate the stages of development of the playwright (as well as briefly - the essence and specifics of dramaturgy, the history of Georgian dramaturgy) and peculiarities according to the idea, theme, genre, form, worldview and artistic - expressive characteristics; To expose the overstepped the bounds attitude of Soviet criticism towards the creativity of the writer; Analyze exhaustively the various artistic creativity of the playwright with regard to general trends of the Georgian literature of that epoch; To present **research novelties** and opinions that have not been fixed in Georgian literary space about Niko Shiukashvili's work and life.

From the aim of the paper appears **the task:** - To show and analyze:

- Specifics of dramaturgy, main directions of Georgian dramatic writings (in general). Niko Shiukashvili's Creative Methods and Artistic-Aesthetic Principles;

- Niko Shiukashvili's biography, theatrical-pedagogic work, innovative approaches (psychological drama, impressionist manners, symbolic-romantic pictures) in the drama created in the first stage of creativity (1906-1914). Their theme and peculiarities, typological analogues with Georgian and foreign writings.
- Unknown archive materials of the playwright: artistic texts, memories, letters, studies and reviews published by various authors on writers' life and work, creativity, and plays;
- The theme of the Soviet period (20-30 years) of Niko Shiukashvili's creativity and the Georgian writings of this epoch. The ideological, situational, and face-character similarity of his plays with the works of Georgian authors, socio-political situation in which the writer lived and reflected in his plays.
- The avant-garde role of Georgian comedy in exposing of Bolshevism. Niko Shiukashvili at the origins of creation of the new Georgian comedy. The ideal-artistic function of the folklore theme in the comedies of playwright ("Berikoba", "An American Uncle", "Sovietization of An American Uncle").
- Creative understanding of the **characters** (Kvachi, Jaqo) of Mikheil Javakhishvili's novels and the purposefulness of bringing them in Niko Shiukashvili's dramatic works. Interrelationship between real and textual reality in the writer's work.
- Linguistic-stylistic peculiarities of the playwright's play. Symbolic and sub-text thinking, as a weapon of exposing the Soviet regime (in general - vicious);
- Niko Shiukashvili's letters on Georgian theater and dramaturgy. Children's plays, non-dramatic creativity; Samples of small prose and poetry;
- The importance of the creativity and work of the playwright in the development of Georgian dramatic writings and theatrical art. His role and place in the history of national literature.

**The main sources** of research are Niko Shiukashvili's artistic texts, materials reflecting his work, documents, letters, and examinations of individual researchers, publications and reviews published in the periodical press of the 20th century lodged in various archives. The research process uses the artistic works, sources of Georgian and foreign writers related with ideal-thematic or other artistic elements that are directly or partially related to the dissertation theme.

**The methodological and theoretical basis** of the paper is the scientific works and provisions of literary studies of well-known Georgian and foreign figures. They discuss in general the verbal art, including the nature of dramatic writings, the peculiarities of Georgian dramaturgy and theater, which directly or indirectly (by theoretical views) reply the creativity of the playwright. (I. Chavchavadze, K. Abashidze, Iv. Gomarteli, Sh.Dadiani, D. Janelidze, G. Tsitsishvili, Gr. Kakiashvili, V. Kiknadze, M. Meresashvili, I. Ratiani, M. Bakhtin, A. Lunacharski and Others ). Based on the aims and objectives of the work, the comparative and critical-analytical methods of research are mainly used. Through them we presented the idea-artistic side, characteristic of the works of the playwright, author's intention, also, between them, the texts of Georgian and foreign authors, we revealed preceding theme lines, similar types, general and distinctive signs. This helped to find the reasons that made actual this or that thematic direction in a certain period of time and gave us some basis to make some conclusions. The linguistic and artistic features of Niko Shiukashvili's work are presented at the end of the play review.

In the study, we have tried to use all the materials which are on the creativity and work of the playwright at different times. To illustrate a whole picture, we considered it necessary to cover the way of life of the writer, family environment. In the qualification paper, the published and unpublished (archival) works of the author are discussed, especially the creations of the Communist Age. Their typological comparison with the writings of Georgian writers at the time enabled us to present the picture of the epoch – the struggle between Bolshevik principles and national-humanistic principles.



**Scientific and practical value** of the dissertation is the first attempt of monograph study of the life and work of the playwright in the context of the 20th century Georgian literature. Niko Shiukashvili's dramaturgy are presented and understood as a certain stage of development of Georgian dramatic writings. The author is one of the founders of psychological drama, in which impressive and symbolic-modernistic pictures replace with each other. We substitute different, but in our opinion, the correct position that with the plays created in the 20s of years, the playwright is at the origins of creating a new Georgian comedy. The paper also includes other research novelties, which are mainly based on unknown archive materials.

The examination will enable the entities with relevant interest to consider the writer's literary heritage in the context of Georgian dramaturgy. It is intended for Georgian philologists, the wider community and students interested in Georgian theater issues. The work will help the researchers working in the 20th century Georgian dramaturgy (writing).

This kind of work will contribute the current and future generations to find the right orientation of the future, instead of pseudo-values invaded us, in establishment true national-humane and spiritual-moral values.

**The structure of the paper.** Dissertation work is a monograph examination; the idea-content and feature of the plays are presented primarily by chronological-thematic principles. It includes 252 pages. Consists of three major chapters (**Chapter I.** Niko Shiukashvili's Way of Life, Pedagogical - Theatrical and Public Work; **Chapter II.** Niko Shiukashvili's Early Dramaturgy, Artistic Creations of Different Genres; **Chapter III.** Social-Political Themes in Niko Shiukashvili's Dramaturgy in the 20-30s), Six subchapter (**II.1.** Family themes, love and duty; **II.2.** Pictures of Struggle for Georgians Freedom in present and past; **II.3.** Samples of small prose and poetry; **III.1.** Georgian village in Niko Shiukashvili's plays; **III.2.** Type of Kvachi in Niko Shiukashvili's comedies; **III.3.** Time of Kaen's Rise (The reality of the 30s in the drama "Director Surmadze") and the conclusion. The paper is accompanied by a list of literature and sources related to the study (258 units).

## **The main content of the paper**

In introduction of the dissertation, we have generally reviewed the essence and character of the dramaturgy, the history of Georgian dramaturgy. On the background of dramatic writings we noted innovative shifts of 1900-1910 in Georgian prose and plays. We have shown the actuality of the problems to be reviewed. We formed the subject, goals and aim, research sources, methodology of the dissertation. Determine the novelty of the paper, scientific and practical value, structure

## **Chapter I**

### **Nico Shiukashvili's way of life,**

#### **Theatrical-pedagogical work**

At the beginning of this chapter we present the past and present of Shikuashvili's big family, their loyal service to the Lord and Motherland. It describes the years of childhood and education, the first creative steps -We are focusing on his devoted attempts, to bring National liberation ideas of Georgian figures through educational activities in Meskheta and Saingilo - at the time of the most backward parts of country. The long time domination of the Muslims has dramatically reduced these regions as materially as well as cultural-educational aspect. The young pedagogue opened a wide range of career. In order to know Georgians about part of Akhaltsikhe-Akhalkalaki (1894-1908), as well as the Saingilo (1908-1912) upon coming to school and theater, he created a dramatic circle, arranged performances, evenings, he was the director, actor, screenwriter himself. This period was successful in writing. He wrote and with his leadership the first plays were staged in Akhaltsikhe: "Dried leaf" (1906) and "Friendship" (1907), in Saingilo - "Stupid", "Hideousness", "Mountain fairy tale " (1908), "Firefly" (1909), "Rubbish" (1911), which

successfully performed at the stage of Georgian theater for years. In order to make clear his attitude towards Ilia and Akaki, we especially review the evenings of the memory of St. Ilia Martali (1907) and the jubilee of author of "Gantiadi" (1908) held at schools of Akhaltsikhe and Zakatala by the playwright. The author of the events presented to Meskhs and Ingiloys the significance of National-Liberation Movement of the great Georgians, without their names "Georgians would not have been allowed to say proudly : " I am Georgian ..! "His words were so important that it was immediately printed in the Georgian press (Newspapers : "Isari", 1907, N249; "Droeba", 1908, N30).

Niko Shiukashvili's work in Shida Kartli (1912-1918) is characterized by the similar contents . His main creative field was the school and theater in Gori. At the same time he was a head of Gori division of „The Society for the Spreading of Literacy among Georgians”. With the support of the playwright, the branch of this society was founded in Tskhinvali. During such tense work, he created a beautiful historical drama "Rostevan" (1914), which deserved praising from theater figures. In 1915 in the speech dedicated to the death of Akaki, he once again emphasized the great contribution of the Patriots to homeland. According to him, Akaki joined the two great Georgians - Ilia and Dimitri Kipiani in Mtatsminda-Pantheon. ("Axali Kartli", 1915, N30).

Here we present writer's significant contribution in the development of Georgian theatrical art. On the basis of archival materials, we make it clear by the end of the 10s, the Georgian theater leaders considered his candidacy for the position of the theater director. We review Author's critical-publicist letters in a certain way (They are related to Georgian literature, theater, actual issues of language), including the polemic with Kote Marjanishvili, work - "Diction and Artistic Speech", which is still very popular in Georgian artistic circles (This is confirmed by its edition again in 2010). Finally, we should note that the playwright was highly appreciated and accepted in the Georgian literature family (in 1923 he was elected as a member of the Council of Writers' Union of Georgia, as well as deputy

chairperson), we review his long pedagogic work at the Tbilisi State Conservatoire (1924-1938), the last years of life.

## **Chapter II**

### **Niko Shiukashvili's earlier dramaturgy**

#### **Artistic creations of different genres**

This present chapter is divided into three subchapter: **II.1.** Family themes, love and duty; **II.2.** Pictures of Struggle for Georgians Freedom Fight in present and past; **II.3.** Samples of small prose and poetry.

#### **II.1. Family themes, love and duty;**

At the beginning of the first part of this chapter we discussed the creative principles of the playwright, the family dramas created in the 900-ies. This theme was an important in Russian-European writings. We consider that spreading of this issue in Georgian dramaturgy (writing) was due to this. Georgian writers (Mikheil Javakhishvili, Shio Aragvispireli, Ekaterine Gabashvili, Triphon Ramishvili and others) covered this problem from different sides. In the first plays of Niko Shiukashvili ("Dried Leaf", "Friendship", "Hideousness", "Mountain Fairy Tale", "Firefly") preferably are reflected intense family peripeties and interconnection of love and duty. He saw that in an important part of contemporaries there was wrong attitude towards family lifestyle. As in mentioned and subsequent plays action develops in the circle of intellectuals, gives us the possibility to conclude: The author considers this social layer to be the leader of national life, at the same time as hindering, if it shows weakness and inactivity. Intellectual characters of Niko Shiukashvili's drama: Archil, Tamar ("Friendship"), Leo, Melo ("Mountain fairy tale"), Levani, Babo ("Firefly") can not

